ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442518317
თარიღი:02/07/2025

„ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ ქვეპროგრამის ფარგლებში,გამარჯვებული პროექტების გამოვლენის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე,დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილი პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ქვეპროგრამის ფარგლებში,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 19 ივნისის N№44.442517045 ბრძანებით დამტკიცებულმა კომისიამ, 2025 წლის 20 ივნისის N1 ოქმის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება და რეკომენდაცია მისცა ა(ა)იპ „იმერეთის განვითარების ცენტრი“ის დირექტორის დავით ჩხობაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს „მოწყვლადი ოჯახების და მათი ბავშვების კეთილდღეობისათვის“ დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა'' ქვეპუნქტის, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'', ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N110 დადგენილების, „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის'' ფარგლებში კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 19 ივნისის N№44.442517045 ბრძანების საფუძველზე და „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროექტების გამოვლენის მიზნით შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის 2025 წლის 20 ივნისის ოქმი N1 გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ა(ა)იპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დირექტორის, დავით ჩხობაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „მოწყვლადი ოჯახების და მათი ბავშვების კეთილდღეობისათვის“ და მისი დაფინანსება განახორციელოს უფლებამოსილმა სამსახურმა განსაზღვრული ოდენობით.

2.დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სოციალურ საკითხთა სამსახურს (ვ. გობეჯიშვილი) უზრუნველყოს „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ქვეპროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი მემორანდუმის პროექტი ა(ა)იპ „იმერეთის განვითარების ცენტრთან“ გაფორმების მიზნით.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქ, N 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით .

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ცხაკაია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)